ა. ზურაბაშვილის სახელობის
საქართველოს ფსიქიატრთა
საზოგადოება

A. Zurabashvili Society of
Georgian Psychiatrists

N 01/2019 24.01.2019

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,
შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის
მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ მაია ლაგვილავას

ქალბატონო მაია,

მოგმართავთ შპს „აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით.

მოგეხსენებათ, რომ სურამისა და ბედიანის ერთ ცენტრად გაერთიანებამ, რამაც განაპირობა ცენტრის ერთიანი დაფინანსება, პრობლემები შეუქმნა დაწესებულებების მიერ მათთვის საჭირო თანხების განკარგვას. სურამში მიმდინარე რემონტის გამო, ბედიანს მოაკლდა საწოლდღეზე გამოყოფილი ხარჯები, რაც მძიმედ აისახა მომსახურების ხარისხზე და პაციენტების მდგომარეობაზე. წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით გამოიკვეთა, რომ 23 ლარის მაგივრად ბოლო ექვსი თვის მანძილზე საწოლდღეზე 15-17 ლარი იხარჯება. მნიშვნელოვნად იკლო მედიკამენტებზე და საკვებზე გამოყოფილმა თანხამ. ამასთან, მიუხედავად ასეთი შემცირებული ხარჯებისა, აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრს ვალად ედება 220 000 ათას ლარი, საიდანაც 70 000 ლარზე მეტი ბედიანის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის ვალია, რისი გადახდაც, ასეთ პირობებში დაწესებულებას ძალიან გაუჭირდება.

მნიშვნელოვანია, რომ დროულად მოწესრიგდეს ეს საკითხები, გაიმიჯნოს დაწესებულებების ბიუჯეტი ან არსებული ცენტრი დაიშალოს ორ დამოუკიდებელ დაწესებულებად. ეს საშუალებას მისცემს თითოეულ დაწესებულებას საკუთარი ბიუჯეტის ფარგლებში გაწიოს მომსახურება. წინააღმდეგ შემთხვევაში, არსებობს რეალური საშიშროება, რომ ერთი საავადმყოფო უფრო მეტ წილს წაიღებს საერთო ბიუჯეტიდან, რაც სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის მეორე დაწესებულებაში პაციენტების მდგომარეობასა და მომსახურების ხარისხს.

მოგმართავთ თხოვნით, რომ აღნიშნული საკითხი, უახლოეს მომავალში, განიხილოს ჯანდაცვის სამინისტროსთან არსებულმა ფსიქიკური ჯანმრთელობის პოლიტიკის განმსაზღვრელმა საბჭომ.

პატივისცემით,
ა.ზურაბაშვილის სახელობის
საქართველოს ფსიქიატრთა საზოგადოების
თავმჯდომარე /ეკა ჭყონია/

მისამართი: თბილისი, 0153, იპოლიტოვ-ივანოვის ქ. N 43
ტელეფონი: +995032 265 38 28
ელ-ფოსტა: geopsysociety@gmail.com